12844-15-5-2-201911281546

N 15-5/12844
28/11/2019

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

ბატონო ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს საქართველოს პარლამენტის წევრის - ნიკანორ მელიას - ადვოკატის, [redacted] N12445/19 განცხადებას.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად[1] გამოიკვეთა, რომ ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება და დამატებითი ვალდებულების რამდენიმე ელემენტის დაკისრება შესაძლოა არაპროპორციულად ზღუდავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საპარლამენტო მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებას.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი".[2]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში".[3]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, [...] სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით".[4]

ვსარგებლობ რა მითითებული ნორმებით მინიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგენთ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ვიმედოვნებ, რომ იგი დაეხმარება სასამართლოს საქართველოს პარლამენტის წევრის მიმართ გამოსაყენებელი აღკვეთის

[1] დოკუმენტაცია სახალხო დამცველის აპარატს წარმოუდგინა დაცვის მხარემ.
[2] საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.
[3] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი.
[4] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლი.

ღონისძიებისა და დამატებითი ვალდებულების დაკისრების სამართლიან შეფასებაში. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

ფაქტობრივი გარემოებები

საქმის მასალების მიხედვით, ნიკანორ მელიას ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.[5] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განჩინებით, მას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა. დამატებით, სასამართლომ ბრალდებულს აუკრძალა საგამოძიებო ორგანოს ნებართვისა და ინფორმირების გარეშე საცხოვრებელი ადგილის დატოვება და მოწმეებთან ნებისმიერი კომუნიკაცია, ასევე დაავალდებულა იგი, ჩაებარებინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის გამორიცხვისთვის, მიზანშეწონილია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების აკრძალვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 02 ივლისის განჩინებით, აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა და ბრალდებულის მიმართ დამატებით გამოყენებული იქნა ელექტრონული მონიტორინგი.

საქართველოს პროკურატურის საჯარო განცხადების თანახმად, 2019 წლის 10 სექტემბერს, ნიკანორ მელიამ, ტელეკომპანია „კავკასიაში“ მისვლითა და გადაცემაში მონაწილეობით, დაარღვია დაწესებული აკრძალვა. პროკურატურის თანახმად, ბრალდებულს განემარტა, რომ მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. პროკურატურა აცხადებს, რომ ნიკანორ მელიას ეძლევა თანხმობა პარლამენტში გამოცხადებაზე, ხოლო მედიასთან კომუნიკაცია საცხოვრებელი სახლიდანაც სრულყოფილად არის შესაძლებელი.[6]

სამართლებრივი დასაბუთება

საპარლამენტო უფლებამოსილების არსი

საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტის წევრი არის საპარლამენტო საქმიანობის ძირითადი სუბიექტი[7] და გააჩნია იმგვარ უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების უფლება, როგორიცაა:

- პარლამენტის პლენარულ, ბიუროს, კომიტეტის, ფრაქციის, დროებითი საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის სხდომებზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლება;[8]
- პლენარულ სხდომაზე პოლიტიკური განცხადებების გაჟღერების უფლება;[9]

---

[5] ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა; აღნიშნულ ქმედებაში მონაწილეობა.

[6] იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 13 სექტემბრის საჯარო განცხადება <http://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generaluri-prokuraturis-gancxadeba-1-1> [ბოლოს ნანახია 18.11.2019]

[7] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[8] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[9] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 94-ე მუხლი.

- საკანონმდებლო ინიციატივის უფლება;[10]
- ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში შეუფერხებლად შესვლის უფლება (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა);[11]
- კითხვითა და ინტერპელაციის წესით პარლამენტის სხდომაზე მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოსადმი მიმართვის უფლება;[12]
- მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში უშუალოდ მონაწილეობის უფლება;[13]
- თანამდებობის პირის მოხსენების დასრულების შემდეგ შეკითხვებით მიმართვის უფლება;[14]
- კანონპროექტის განხილვის პროცესში შეკითხვით მიმართვის უფლება;[15]
- საზოგადოებრივი საქმიანობის განხორციელების უფლება;[16]
- სხვა დამატებითი უფლებამოსილებები.[17]

ამდენად, პარლამენტის წევრი უფლებამოსილია დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს არამხოლოდ პარლამენტის პლენარულ, ბიუროსა და კომიტეტის სხდომაზე, არამედ მის უფლებამოსილებას მიეკუთვნება საჯარო განცხადებებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებაც.

ამჟამად, პარლამენტის წევრს ნიკანორ მელიას აკრძალული აქვს საგამოძიებო ორგანოს ნებართვისა და ინფორმირების გარეშე საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ასევე საჯარო განცხადებების გაკეთება. მსგავსი ვალდებულებები, რასაკვირველია, წარმოადგენს საპარლამენტო მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილებების შეზღუდვას, რომელიც, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა გამართლებული იყოს, თუმცა პროპორციულ გამოყენებას საჭიროებს.

საპარლამენტო მანდატის შეზღუდვის ფარგლები

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წევრს იმუნიტეტი იცავს, მაგრამ ეს დაუსჯელობის გარანტიას არ წარმოადგენს. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის, თუმცა იმუნიტეტის მოხსნა შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას.[18]

ეს პრინციპი საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყნებშია გავრცელებული.[19] სახელმწიფოების უმეტესობა პარლამენტარის იმუნიტეტის ორ კატეგორიას აღიარებს: პასუხისმგებლობის არდაკისრებას მოვალეობის შესრულების დროს გამოთქმული მოსაზრებების გამო და „ხელშეუხებლობას" („იმუნიტეტი მკაცრი გაგებით") დაკავების, დაპატიმრების ან დევნისგან პარლამენტის თანხმობის გარეშე. იმუნიტეტის მიზანს, ძირითადად, პოლიტიკური უმცირესობის

---

[10] საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[11] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
[12] საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლი:
[13] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
[14] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 152-ე მუხლი.
[15] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 111-ე მუხლი.
[16] საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[17] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[18] საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.
[19] იხ. ვენეციის კომისიის 1996 წლის 4 ივნისის CDL-INF(96) ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-INF(1996)007-e> [ბოლოს ნანახია 18.11.2019]

დაცვა წარმოადგენს და იგი არ აღიქმება, როგორც პარლამენტის ცალკეულ წევრთა პირადი პრივილეგია.[20]

დამატებით, ვენეციის კომისია ყურადღებას ამახვილებს ხალხის არჩეული წარმომადგენლებისთვის აზრისა და სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობაზე ნამდვილი დემოკრატიისთვის. სიტყვის თავისუფლების არსებითი შეზღუდვები პარლამენტებისთვის უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს პარლამენტში თავისუფალ პოლიტიკურ დებატებს.[21]

ვენეციის კომისიის ანგარიშის თანახმად, იმუნიტეტის გამოყენების და მოხსნის წესები უნდა იყოს მკაფიო და ზუსტი, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცედურებით. კომისია მიუთითებს, რომ თანამედროვე პირობებში საპარლამენტო იმუნიტეტი ფუნქციონირებს ძირითადად უმცირესობის გარანტიის სახით.[22] ამასთან, საპარლამენტო იმუნიტეტით დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სუბიექტს წარმოადგენს პარლამენტარის გამოხატვის თავისუფლება. სიტყვის თავისუფლება წარმომადგენლობითი ორგანოს წევრისთვის კიდევ უფრო აღმატებული შინაარსისა და დაცვის მქონეა, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქისთვის.[23]

ვენეციის კომისია ასევე აცხადებს, რომ საპარლამენტო იმუნიტეტის შესახებ სპეციალური წესების საჭიროება ნაკლებად დგას სტაბილური დემოკრატიის სახელმწიფოებში, სადაც ნაკლებია სისხლისსამართლებრივი სისტემის ბოროტად გამოყენებისა და პარლამენტარებზე ზეწოლის საფრთხე. საპირისპიროდ, საპარლამენტო იმუნიტეტის შესახებ დაწვრილებითი პროცედურისა და წესების არსებობა აუცილებელია განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში.

ანალოგიურად მსჯელობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც[24], რომლის თანახმად, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების (მართლმსაჯულების განხორციელება) მისაღწევად, დასაშვებია სახელმწიფო თანამდებობის განხორციელების უფლების შეზღუდვა. სასამართლო მსჯელობს დაპირისპირებულ კონსტიტუციურ ინტერესებს შორის თანაზომიერი და სამართლიანი[25] ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე, რადგან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი და, იმავდროულად, დემოკრატიულობის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას.

სასამართლო მიუთითებს, რომ მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ამომრჩეველთა მიერ დელეგირებული ხელისუფლების უსაფუძვლო, თვითნებური შეზღუდვისგან დაცვა, რის გამოც განსაკუთრებული ლეგიტიმაციით სარგებლობენ დემოკრატიული წესით ხალხის მიერ არიან

---

[20] იხ. ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 მაისის N7714/2013CDL-AD(2014)011) ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)011-e> [ბოლოს ნანახია 18.11.2019]

[21] იქვე, პუნქტი 17.

[22] იქვე, პუნქტი 24.

[23] იქვე, პუნქტი 10.

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”

არჩეული პირები.[26] თანამდებობის ლეგიტიმაციის წყაროს, კონსტიტუციური სტატუსის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით, მათი დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის გარანტიები განსხვავებულია და შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წინაპირობები და პროცედურა.[27]

სასამართლოს განმარტებით, თანამდებობა ვერ იქნება შეუზღუდავობის აბსოლუტური გარანტია, თუმცა ხალხისგან სახელისუფლებო მანდატის მქონე პირის მიმართ ზედმიწევნით ფრთხილი მიდგომაა საჭირო. სასამართლო უთითებს, რომ შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ *„მკვეთრად გამოხატული და უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებისთვის, უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ეს არის ერთადერთი და აუცილებელი გზა.“*[28] სასამართლო, ვენეციის კომისიის მსგავსად, აცხადებს განჭვრეტადი, მკაცრად რეგლამენტირებული პროცედურის საჭიროებაზე, რომელიც ინტერესთა სამართლიან ბალანსს ეფუძნება.[29]

ინტერესთა სამართლიან ბალანსზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რაკი არჩეული პირის უფლებამოსილება შემოფარგლულია კონკრეტული ვადით, რაც უფრო ხანგრძლივი დროით შეეზღუდება მას უფლებამოსილების განხორციელება, მით უფრო ინტენსიური იქნება უფლებაში ჩარევა, ვინაიდან გაცდენილი ვადის აღდგენა ობიექტურად შეუძლებელი იქნება.[30]

საგულისხმოა, რომ ამჟამად საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი, პარლამენტარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პროცედურის განმსაზღვრელი ნორმა, არ ითვალისწინებს რაიმე მითითებას იმის შესახებ, თუ რა უფლებების შეზღუდვა დაიშვება მაშინ, როდესაც ბრალდებულ დეპუტატს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა არ შეეფარდება.

შესაბამისად, სასამართლომ, გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტისას, იხელმძღვანელა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და განჩინებაში არ იმსჯელა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების სპეციალურ საკითხთან დაკავშირებით ეს პრობლემური თუნდაც იმ გარემოების გამოა, რომ ამავე კოდექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს ბრალდებულის საქმიანობას.[31]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად სხვადასხვა დამატებითი ვალდებულების დაკისრებას ითვალისწინებს, მაგრამ ამის შესახებ მსჯელობისას სასამართლოს მხედველობაში უნდა ჰქონდეს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვის თანაზომიერების საკითხი. ამდენად, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას აუცილებელია დაწესებული შეზღუდვების საქართველოს კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობის განხილვა და გადაწყვეტა.

---

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-27.
[27] იქვე, II-23.
[28] იქვე, II-14.
[29] იქვე, II-27.
[30] იქვე, II-38.
[31] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

წინამდებარე საქმის ანალიზი

მოცემულ საქმეში, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოსა და დამატებითი ვალდებულებების დაკისრების შედეგად, ნიკანორ მელიას საპარლამენტო მანდატის მოქმედება, და, შესაბამისად, მისი უფლებამოსილება, არ შეჩერებულა. იგი დღემდე ახორციელებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას.

როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო ლეგიტიმაციის მქონე არჩეული თანამდებობის პირების მიმართ უფლებამოსილების შეზღუდვას განსაკუთრებული საფუძველი და დასაბუთება ესაჭიროება. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების დაკმაყოფილების გარდა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საპარლამენტო მანდატის განსაკუთრებული არსი და დამატებითი ვალდებულებების დაკისრებისას მხედველობაში იქონიოს ის როლი, რომელსაც თითოეული პარლამენტარი ასრულებს წარმომადგენლობით დემოკრატიაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვა შესაძლოა გაგრძელდეს ხანგრძლივი ვადით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდეც.[32] შესაბამისად, დამატებითი ვალდებულებების დაკისრებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ამით ხანგრძლივად არ შეაფერხოს მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

მოცემულ შემთხვევაში, საერთო სასამართლოებმა პარლამენტის წევრს დაუწესეს დამატებითი შეზღუდვები, რომელთა ნაწილი ცალსახად გამომდინარეობს სისხლის სამართლის პროცესის მიზნებიდან (მოწმეებთან კომუნიკაციის აკრძალვა, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა, ელექტრონული მონიტორინგი), თუმცა რამდენიმე მათგანი განსაკუთრებით თვალშისაცემია, რადგან მათ შესაძლოა არათანაზომიერად შეზღუდონ მის მიერ საპარლამენტო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

როგორც აღინიშნა, საპარლამენტო საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პარლამენტის ჩვეულ საქმიანობაში მონაწილეობას, რაც პლენარულ, ბიუროს, კომიტეტისა და სხვა სხდომებზე დასწრებასა და მონაწილეობაში გამოიხატება. მოცემულ შემთხვევაში, მისასალმებელია, რომ პროკურატურის პოზიციით, ნიკანორ მელიას არ ეზღუდება თავისუფლად გადაადგილება აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

თუმცა, ამავდროულად, სამწუხაროა, რომ სასამართლოებმა აღნიშნული საკითხი შეფასების მიღმა დატოვეს და განჩინებაში თავადვე არ მიუთითეს, რომ თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის ვალდებულება არ უნდა გავრცელებულიყო პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაზე, რათა დაკმაყოფილებულიყო კონსტიტუციის მოთხოვნა და პარლამენტარს მისცემოდა საკუთარი ძირითადი საქმიანობის შესრულების შესაძლებლობა.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისეთი საპარლამენტო საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობა, როგორიცაა საზოგადოებრივი საქმიანობა, რაც საკუთარ თავში მოიცავს საჯარო განცხადებების გაკეთების უფლებას. ამჟამად სასამართლოს მიერ დაწესებული

---

[32] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.

შეზღუდვებით, დეპუტატს ეკრძალება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება. პროკურატურის შეფასებით, მის მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში მონაწილეობა აღნიშნული აკრძალვის დარღვევაა, ხოლო მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესრულება შესაძლებელია მისი სახლიდანაც.

მსგავსი მსჯელობა არ შეესაბამება პარლამენტარის მანდატით გათვალისწინებულ, საზოგადოებრივი საქმიანობის უფლებამოსილებას. პარლამენტის წევრს შესაძლოა სჭირდებოდეს არაერთი შეხვედრა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, საკუთარ ამომრჩევლებთან, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სუბიექტებთან იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმიანობაში და შეასრულოს საკუთარი ამომრჩევლის მიერ მისთვის მინიჭებული წარმომადგენლობითი ფუნქცია. შეუძლებელია, რომ აღნიშნული ფუნქცია სრულყოფილად შესრულდეს მხოლოდ საკუთარი სახლიდან მედიასთან კომუნიკაციით.

ამასთან, მსგავსი შეზღუდვა გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისითაც. თუკი ნიკანორ მელიას ეკრძალება საჯარო განცხადებების გაკეთება, რათა მან ახალი დანაშაული არ ჩაიდინოს, მაშინ მას არც მედიასთან კომუნიკაცია და ინტერვიუებში მონაწილეობა უნდა შეეძლოს, ხოლო თუ მედიასთან კომუნიკაცია დასაშვებია, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს პარლამენტის წევრს აღნიშნულის გაკეთება არა საკუთარი სახლიდან, არამედ ტელეკომპანიის შენობიდან, თუკი მასზე დაწესებულია ელექტრონული მონიტორინგი, რითიც აღმოფხვრილია მისი მიმალვის საფრთხე.

შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, პარლამენტის წევრს უნდა შეეძლოს საცხოვრებელი სახლიდან პარლამენტში თავისუფლად მისვლა, რაც პროკურატურის კეთილი ნებით გადასაწყვეტ საკითხს არ უნდა წარმოადგენდეს, თუკი მის მიმართ პატიმრობა არ არის გამოყენებული. ასევე, მისი უფლებამოსილების არათანაზომიერ შეზღუდვას შეიძლება წარმოადგენდეს მისთვის საჯარო თავშეყრის ადგილებზე საჯარო განცხადებების გაკეთების აკრძალვა და სატელევიზიო ეთერში მისვლის გამო გაფრთხილება.

ამდენად, სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტის წევრისთვის - ნიკანორ მელიასთვის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და გამოხატვის უფლების შეზღუდვის დაწესებით შესაძლებელია ადგილი აქვს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელების არაპროპორციულ შეზღუდვას.

დასკვნა

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნიკანორ მელიას მიმართ გამოტანილი განჩინებით შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, პარლამენტის წევრისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებით მისი უფლებამოსილების განხორციელების არაპროპორციულ შეზღუდვას.

მნიშვნელოვანია, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის განხილვისას იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და, საქართველოს კონსტიტუციის, პარლამენტის რეგლამენტისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ანალიზით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომლითაც არათანაზომიერად არ შეიზღუდება პარლამენტარის საქმიანობა.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55–ე მუხლით. დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.